

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის
კომიტეტისა და კომპარტიკის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ლ ე პ ო ორგან კომიტეტა по Финансовой культуре и спорту при Совете Министров
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 147 (1317) ○ სამშაბათი, 9 დეკემბერი, 1958 წ. ○ გამომცემის მე-15 წელი, ○ ფასი 30 კაპ.



წელს აღრე დაზარადა საქართველოში. ბორჯომის, ახალქალაქის, ცაგერის, მესტიისა და რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებს კარგა ხანია ეწვია თოვლი. თოვთსავესელში გახვდია არეზარე. პირველად თოვლისთანავე გაჩნდა თბილისში პირველი ნაკვალევი. ძირითადი კოლმეტივების ფიზკულტურალები შეუდგნენ პროფკავშირულკომპარტიული კრების, სარაიონო შეჯიბრებებისათვის ზადებას.

მზად შეხვდნენ ზამთრის სპორტულ სეზონს ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლის მოთბილამურეები, რომლებიც ფიზკულტურის მასწავლებელ ა. ჯაფარიშვილის ხელმძღვანელობით რეგულარულად ვარჯიშობენ.

ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ზევითა სურათი გადაიღო მაშინ, როცა სათბილამურო სეკციის ერთი ჯგუფი იწყებდა მორიგ ვარჯიშს.

თოვლიან დღეებში თბილისში, მაგრამ ეს გარემოება დიდად ვერ აფერხებს დედაქალაქის მოთბილამურეებს.

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე და ი. ჯავახიშვილის პროსპექტზე ხშირად ნახავთ საყვარელინი ციკურებით ვარჯიშის დროს. მონღოებით ემზადებიან რესპუბლიკის ჩემპიონები რბენაში ვ. გავა და ვ. სუხანოვი, სამთო ორქილში — ზ. თეფური, ჩემპიონი ქაბულაშორას — ი. ოგანეზოვი და სხვები.

მეორე სურათზე ნახევნები რესპუბლიკის ჩემპიონები ვ. გავა (დგას), ზ. თეფური და ვ. სუხანოვი. კიდევ რამდენიმე წუთი და ისინი სხვებთან ერთად შეუდგებიან მორიგ ვარჯიშს.

მესამე სურათზე აღბეჭდილია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფის წევრების მომენტი.

საჩქოვი. XX რეპრონაზი

საჩქოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). X ტურში გაფრინდაშვილმა სიცილიური დაცვა გაითამაშა. მოლდავეთის ჩემპიონი გოიპენბერგის წინააღმდეგ. მეტოქის ბანაკში მან შექმნა სისტემა და შემდგომი თამაში მის გამოყენებაზე ააგო. პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიღო ოთხი ეტლის დაბოლოებაში გაფრინდაშვილის უპირატესობით. ენერგიულად ითამაშა აქარის ჩემპიონმა ჩაიკოვსკიამ მსოფლიო ჩემპიონ ბიკოვსთან. არც ეს პარტია დამთავრებულა. ლაზიერებს დაბოლოებაში ჩაიკოვსკიას ორი ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შესაძლებლობა აქვს. კარგად დაიწყო პარტია ტოგონიძემ იაკირის წინააღმდეგ. მან მოიგო პაიკი, მაგრამ მოულოდნელად უხეში შეცდომა დაუშვა, დაუცველად დატოვა ეტლი და მაშინვე დაწვდა. კაკაბაძე-ზგორიანს პარტიის ბედი ქართველი მოქალაქის მხიმი ცაიტნოტი გადწყდა. მან შეცდომით გაცვალა ეტლები და თამაში პაიკთა წაგებულ დაბოლოებაში გადაიყვანა. პარტია არ დამთავრებულა.

ბრწყინვალედ ითამაშა ტიხომიროვამ, რომელმაც მხედრის შეწირვით დაშვანათა ზატულაშვილის მეფე. ბორისენკომ მოუღო მალინოვს. ყაიმით დამთავრდა კოლპერტრუბოვას და როტარეფილანოვსკიას პარტიები.

გადაღებული პარტიების დამთავრებისას კაკაბაძე ყაიმზე შეუთანხმდა იაკირს და დაწვდა ზგორიანს. გაფრინდაშვილმა შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ დაპარტყდა ზგორიანსთან და გაიმარჯვა გოიპენბერგთან. ჩაიკოვსკიამ ყაიმით დამთავრა პარტია ქუშინთან და მსოფლიო ჩემპიონთან.

ოთხი ეტლით თამაშით აძულა დაწვდა ტოგონიძემ ოსტატურად გამოაყენა მტრე უპირატესობა ფილანოვსკიას წინააღმდეგ და გაიმარჯვა.

გურფინელმა დამარცხა იაკირი და ყაიმზე შეუთანხმდა სტრანდსტრემსა და ნისენბოიმს. რუბცოვა თამაშის განუხლებლად დაწვდა კაკაბაძეს, ნისენბოიმი — ეოლპერტს. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გოიპენბერგ-ბიკოვს პარტია.

მეთერთმეტე ტურით დაიწყო ტურნირის მეორე ნახევარი. და იმ პარტიებზე შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს მოქალაქეები — გაფრინდაშვილი და ჩაიკოვსკიამ. გაფრინდაშვილი თავიდანვე მიჰყვა ფიგურების გაცვლას და ბრძოლა დაბოლოებაში გადაიყვანა. მან შესანიშნავად ათამაშა თათქმის თანაბარ პოზიციაში და პაიკის მოგება შემდეგ ადვილად მოიპოვა გამარჯვება. მოულოდნელად დამთავრდა გოიპენბერგ-კაკაბაძის პარტია. მოგებულ პოზიციაში, სადაც მას ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, კაკაბაძემ ცუდი სვლა გააკეთა და შამათი მიიღო. ტოგონიძემ ვერ გამოიყენა უპირატესობა და ყაიმზე შეუთანხმდა სტრანდსტრემს.

ფილანოვსკიამ შემდეგ სტილში დაამარცხა ბორისენკო, რუბცოვამ — გურფინელი. ყაიმით დამთავრდა ნისენბოიმი-განტაიევისა და იაკობოვსკი-პარტიები. ზგორიანს გადაღებული პარტიაში ვოლპერტთან ეტლების დაბოლოებაში ორი ზედმეტი პაიკი აქვს.

XI ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს აქვს 8 ქულა, ვ. ზგორიანსა და ლ. ეოლპერტს — 7.7 ქულა თვითუფს და თითო გადაღებული პარტია.



40:40

მოსკოვში სამ დღეს გრძელდებოდა მოსკოვისა და ლენინგრადის მოქალაქეთა აშხანაგური მატჩი.

მსგავს შეჯიბრებას საფუძველი ჩაეყარა 1922 წელს, როცა პეტერბურგში ჩაიდინენ მოსკოველი მოქალაქეები. მას შემდეგ საინტერესო შეჯიბრება გაიმართა ექვსჯერ. სამჯერ (1922, 1926, 1930 წლებში) გაიმარჯვეს მოსკოველებმა და სამჯერ (1927, 1937, 1941 წლებში) — ლენინგრადელებმა.

მიმდინარე შეხვედრაში მონაწილეობდა 11 გროსმასტერი და 20-

მდე ოსტატი. მათ შორის იყვნენ ვ. სისილოვი, დ. ბრონსტეინი, ი. ავერბახი, ა. კოტოვი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი, მ. ტაიანოვი და სხვები.

ორი დღის ბრძოლის შემდეგ 40 პარტიდან 31 დაუმთავრებელი აღმოჩნდა. გადაღებული პარტიების დამთავრებისას ევლავ დარჩა ორი პარტია, რომელთათვის შედეგი უნდა მიესაჯა მატჩის მთავარ მსაჯეს მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკს. ამ დროსათვის ანგარიში იყო 40:38 ლენინგრადელთა სასარგებლოდ. პარტიები მოსკოველთათვის მოსაგები აღმოჩნდა და აშხანაგური მატჩი დამთავრდა ყაიმით — 40:40.

ევროპის პირველობა

31 იანვარსა და 1 თებერვალს შვეიცარიის ქალაქ გეტებორგში „უილვის“ სტადიონზე გაიმართება ევროპის 1959 წლის პირველობა ციკურებით რბენაში ვაჟთა შორის. მოციგურეთა შვეიცარიის კავშირში, რომელიც ამ ჩემპიონატის ორგანიზატორია, მოციგურეთა საერთაშორისო კავშირის წევრებს გაუგზავნა მოწვევა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ჩემპიონატის პირველ დღეს მავარაუდებია მოიწყოს შეხვედრები 500 და 5.000 მეტრზე, ხოლო მეორე დღეს მონაწილენი ერთმანეთს შეჯიბრებიან 1.500 და 10.000 მეტრზე.

შეჯიბრებათა საერთაშორისო წესების თანახმად, თვითუფს სახელმწიფოს, რომლის სპორტსმენები

არ მონაწილეობდნენ წინა ჩემპიონატში. უფლება ეძლევათ ამჯერად გეტებორგში გაგზავნონ მხოლოდ 2-2 სპორტსმენი, ხოლო გასულ ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ წარმოადგინონ 3-3 სპორტსმენი. მოციგურეთა საერთაშორისო კავშირის განსაკუთრებული გადაწყვეტილებით 4-4 სპორტსმენის გამოყვანის უფლება ეძლევათ გდრ-ს, ინგლისსა და შეჯიბრების ორგანიზატორს — შვეიცარს, ხოლო ფინეთს, ნორვეგიას, საბჭოთა კავშირსა და პოლანდას ნება დაერთოთ ჩამოყვანა 5 სპორტსმენით თვითუფს. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე დიდ დისტანციაზე — 10.000 მეტრზე რბენაში დაშვებული იქნება 16 უძლიერესი სპორტსმენი.

გვირუკი შრომის ნაყოფი

სასიხარულო ცნობა მოვიდა ქუთაისიდან. მდინარე რიონზე მწყობრში ჩაღდა გუმბათის უკანასკნელი, მეოთხე აგრეგატი, რითაც სავსებით დამთავრდა მდინარე რიონზე გუმბათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის აგების სამუშაოები.

7 დეკემბერს ელექტროსადგურის წინ მდებარე მოედანზე შეიკრიბნენ მშენებლები, მემონტაჟები, ექსპლოატაციის მუშაკები, თბილისის, ქუთაისისა და ახლო მდებარე რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები.

გუმბათისს ამუშავებაზე ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მუჟანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. ჯაფარიშვილი. დღის პირველ საათზე აშხ. ვ. პ. მუჟანაძემ გადაკრა წითელი ლენტის სადგურის სადარბაზო შესასვლელთან. შეკრებილთა ტაშის გრილში ჩართეს მეოთხე გენერატორი.

ამ ელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრებით და საექსპლოატაციოდ გადაცემით დასრულდა გუმბათის ჰიდროელექტროსადგურების ნაგებობათა კომპლექსი, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრის 66,5 ათას კილოვატს, ხოლო წლიური გამოშვება — 400 მილიონამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას.



მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მუჟანაძემ.

მიტინგის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ აშხ. ვ. პ. მუჟანაძის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გუმბათის № 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე.



მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო!

საშაბრი საპარტაქლოს
კომპარტიის ცხაკიას რაიონის
პირველ მდივან
აბს. ი. შარვაშიძესთან



ცხაკიაში ზონალური სპარტაკიადის ჩატარება დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე. სპარტაკიადის დღე-ღამეში ცხაკიაში ჩამოვლენ მეზობელი რაიონების სპორტსმენები, მწვრთნელები, წარმომადგენლები. იმისათვის, რომ სპორტულ ბრძოლას ეშვი და ლაშათი პქონდებს, როგორც ცხაკიელ სპორტსმენებს, ისე ძვირფას სტუმრებს უნდა შევუქმნათ ნორმალური პირობები. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია უპირველეს ყოვლისა, ბინის, კვებისა და ბაზების საკითხის მოგვარება. სწორედ ამ მიმართებით წარმართა კიდევ მზადება სპარტაკიადისათვის. რაიონის ბიურომ განიხილა ზონალური სპარტაკიადისათვის მზადების საკითხი და შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი მს. კაცის შემადგენლობით.

ცხაკიაში ერთი სასტუმროა, რაც, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. ამიტომ

სპარტაკიადის დროისათვის სტუმრების მისაღებად დამატებით მოვაშადებთ ექვს სასკოლო შენობას, დაფუძნებით კურორტ მენჯის ზოგიერთ კორპუსს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბინას. კვების მხრივ სპორტსმენებს არ ექნებათ სასაყვედურო, გარდა იმისა, რომ მათ საცხოვრებელ ადგილზევე ექნებათ სასადილოები, სპარტაკიადის დღეებში გავხსნით ახლადშეკეთებულ 200-ადგილიან სასადილოს. გადავცემთ ოთხ, მათ შორის მენჯის რესტორანს. სავაჭრო ორგანიზაციები სპარტაკიადის დღეებში დამატებით შემოვიღებენ პროდუქტებს.

ფიქრობთ, რომ არც ბაზების საქმე გვექნება ცუდად. ის, რაც ამჟამად გავაჩნია — სტადიონი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები ტექნიკურად კარგ

მდგომარეობაშია. სამწუხაროდ, სპორტის სასახლე, რომლის აგება განზრახული გვაქვს, სპარტაკიადის ვერ მოესწრება. თორემ იგი დიდად შეგვიწყობდა ხელს. ცხაკია, ბაზებს კიდევ უფრო მივხედავთ, მოვაშადებთ, რათა სპეციალისტების თვალსაზრისითაც უპრეტენზიო იყოს. პირველ რიგში, იგი შეეხება მძლეოსნობის სექტორებს, ვინაიდან, რაცა გვაქვს იგი იმ სახით არ გამოგვადგება შეჯიბრებათა ჩასატარებლად.

რაც შეეხება რაიონის სპორტსმენთა მომზადების საკითხს, ამის შესახებ ჭერ კიდევ ივნისში იმსჯელა რაიონის ბიურომ. ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სპარტაკიადის ყველა სახეობაში. მაგრამ ჩემის მხრივ მეც უფრო დედა ცხაკიელი ცხენოსნების გულისწყრომას. როგორც

ცნობილია, დასავლეთ საქართველოში ფართოდაა განვითარებული ცხენოსნობა, რაც რატომღაც დაავიწყდათ ზონალური სპარტაკიადის პროგრამის შემდგენლებს. თუ მათ შესაძლებლად მიჩნევენ ქართული ჰილდობის შეტანა პროგრამაში, რატომ არ შეიძლება ყოფილიყო ცხენოსნობაც? ამის შესახებ საჭიროა იმსჯელონ კომპეტენტურმა პირებმა.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ზონალური სპარტაკიადა დაგვეხმარება რაიონში სპორტის კიდევ უფრო პოპულარიზაციაში. ამას ისიც შეუწყობს ხელს, თუ პირველნი ვიქნებით შეჯიბრებაში, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი სურვილია და ამით არ გვინდა ვაწყენიოთ ძვირფას სტუმრებს. ისინიც ხომ გამარჯვებაზე ფიქრობენ. და,

გამარჯვოს ძლიერმა. ცხაკიელები მათ მიესალმებიან. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!

სპარტაკიადის პროგრამა უნდა გამდიდრდეს სპორტის ეროვნული სახეობებით

როცა გავეცანით ზონალური სპარტაკიადის პროგრამას, განვიფრებულნი დავრჩით იმით, რომ ცხენოსნობა არ იყო მასში შეტანილი. ეს მით უმეტეს გასაკვირია, რომ ქართველი ერის წარსულში ფართო ადგილი ეკავა ქართულ ჰილდობასთან ერთად ცხენოსნობას. სპარტაკიადის პროგრამაში კი გათვალისწინებულია შეჯიბრებები მხოლოდ ქართულ ჰილდობაში.

ამ ბოლო დროს შესამჩნევია ცხენოსნობის ეროვნული სახეობისადმი ნაკლები ყურადღება. წელიწადში ერთხელ თუ მოეწყობა ოფიციალური შეჯიბრება, როგორც, მაგალითად, ფოთში ჩატარებული რესპუბლიკის პირველობა. სხვა შეხვედრებზე თუ ჩვენ თვითონ არ ვიზრუნეთ, სხვა არავინ ფიქრობს.

ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულმა საჩვენებელმა გამოსვლებმა, სადაც ქართველმა ცხენოსნებმა აჩვენეს ყაბახი. თარჩია, ცხენბურთი და სხვა ეროვნული სახეობანი, ცხადყო, რომ საჭიროა შევიარჩუნოთ და განვავითაროთ ცხენოსნობის ეროვნული სახეობები.

ცხენოსნობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია მისი ზონალურ სპარტაკიადში შეტანა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ზონაში მაიხც. ისევე, როგორც ცხაკია, მისი მეზობელი რაიონებიც კმაყოფილებით შეხვდებიან ცხენოსნთა შეჯიბრებაში მონაწილეობას.

ბ. ივანიძე,
ცხენოსნობის საწვრთნელი პუნქტის გამგე.

დავაკომპლექტეთ გუნდები, ვემზადებით ზოხალური სპარტაკიადისათვის

ცხაკიაში ზონალური სპარტაკიადის ჩატარება ჩვენ, როგორც მასპინძლებს, ბევრს გვაულებს და არ გვინდა შევირცხვინოთ თავი. ამიტომ რაიონის ფიზკულტურელები უკვე შეუდგნენ მზადებას.

ამას წინათ საინტერესო სპორტული ბრძოლით აღინიშნა რაიონული სპარტაკიადი, რომლის პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, სროლა, პადრაკი და ქართული ჰილდობა. შეჯიბრებები ზოგჯერ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, „სპარტაკმა“, „განთიადმა“, „კოლმეურნემ“ და საშუალო სკოლებმა. ამ ღონისძიებებმა მიიზიდა რაიონის თითქმის ყველა უმღიერესი სპორტსმენი და მათი შედეგების მიხედვით შესაძლებელი გახდა დაგვეკომპლექტებინა გუნდები.

რა ამოცანის წინაშე დგანან ახლა რაიონის სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ჩვენი რაიონის ფიზკულტურელები და რა

კეთდება მათ გადასაჭრელად? რასაკვირველია, წარმატების მოსაპოვებლად არ კმარა მხოლოდ გუნდების დაკომპლექტება. საჭიროა მათთან მუშაობა, წვრთნა. ამ მხრივ გარკვეულ დახმარებას გვიწევს სპორტულ შეჯიბრებათა ახალი სისტემით ჩატარება. რაიონის სპორტული კალენდარი ისე შევადგინეთ, რომ სპორტსმენები მთელი წლის მანძილზე მონაწილეობენ შეჯიბრებაში. თითქმის ყველა სახეობაში, რომელიც სპარტაკიადში შედის, შეჯიბრება ეწყობა რამდენიმე ტურად. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიებანი როდია საკმარისი. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მძლეოსნობაში. სპორტის ეს სახეობა ჩვენში ჩამორჩენილია იმდენად, რომ ძალიან ძნელია ვიფიქროთ წარმატებაზე თუნდაც ზონალურ სპარტაკიადში. არა გვყავს მძლეო კვალიფიკაციის სპეციალისტები. გაცივრებებს იწვევს მძლეოსანთა დაუსწრებელ შეჯიბრება-

თა გაუქმება, რომელიც დიდად გვეხმარებოდა სპორტის ამ სახეობის განვითარებაში.

ჩვენი ამოცანაა კარგად მოვემზადოთ. ამ მიმართებით გვეხმარებიან სპორტული საზოგადოებები, ძირითადი ფიზკულტურული კომპლექტები. მაგალითად, ძველი სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექტმა (დირექტორი ნ. ბარამია) ჩატარა თავისი სპარტაკიადი და წარმატებით გამოვიდა სარაიონო სპარტაკიადში. კომპლექტმა დააარსა გარდამავალი დროშები და შეუდგა სარაიონო შეჯიბრებათა მომზადებას. გვინდა აგრეთვე ხშირად მოვაწ-

ყოთ ამხანაგური შეჯიბრებები მეზობელ რაიონებთან.

პარტიის რაიონის ბიურომ განიხილა 1959 წლის სარაიონო სპარტაკიადის საკითხი და დამატკიცა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი რაიონისათვის თავმჯდომარის დ. ბალათურის ხელმძღვანელობით. კომკავშირის რაიონმა ჩვენს კომიტეტთან ერთად გამართა აქტივის კრება და მრავალი საქმიანი ღონისძიება დასახ. იმედი გვაქვს მომზადებული შეხვედრებით სარაიონო და შემდეგ ზონალურ სპარტაკიადისად.

შ. ჩიქოვაძე,
ცხაკიას ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

ცხაკიაში მრავალი საინტერესო ღონისძიება ეწყობა სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში. სურათზე თქვენ ხედავთ (მარცხნივ) ველოსპორტში რაიონულ პირველობაზე გამარჯვებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებს (მარცხნიდან) კორხას, ჭელიას, მითაგვარიას, ცხვიტარიას. მარჯვნივ — 10.000 მეტრზე კროსში მონაწილენი დისტანციაზე წინა პლანზე რ. ტუბუჩავა.

სურათი: ზემოთ — სსრ კავშირის 1958 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ი. ტიტოვი ღერძზე ვარჯიშის დროს. ქვევით — ქაბუკთა შორის მეორე ადგილზე გამოსული ნ. მაკალათია ტაიპზე ასრულებს ვარჯიშს.



ფულუკიძე
დამთავრდა პირველობა კალათბურთში სკოლებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა ვაჟთა 7 და გოგონათა 4 გუნდი.
ვაჟთა შორის ფინალში დაუმარცხებლად გავიდნენ ქალაქის I საშუალო სკოლისა და ქუთაისის საშუალო სკოლის გუნდები. გაიმარჯვა ქალაქის I საშუალო სკოლის გუნდმა.
I და II საშუალო სკოლების ბავშვები გუნდების შეხვედრას უნდა გამოეყენებინა პირველ ადგილზე გამოსული გუნდი გოგონათა შორის. იგი აღმოჩნდა I საშუალო სკოლის კოლექტივი.

ა. ყუფარაძე
ჩვენი სპ. კორ.

ყვარელი
ამ დღეებში ყვარლის სტადიონზე ჩატარდა სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავადმი მიძღვნილი ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები „დურუჯი“ და 1952 წლის „კოლმეურნის“ შემადგენლობა.
საინტერესო შეხვედრა დამთავრდა „დურუჯის“ გამარჯვებით ანგარიშით 2:1.
ბ. გურასაშვილი
ჩვენი სპ. კორ.

ჩვენ მეოთხე ადგილზე ვართ

სსრ კავშირის
პირველობა სპორტულ
ტანმჯობეობაში

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). მოსკოველი მაყურებლები დიდ ინტერესს იჩენდნენ არა მარტო ცნობილ ტანმჯობეობაში, არამედ მოსწონდათ გამოსვლა ბისაღმც, ვინაიდან საერთო გუნდურ ჩათვლაში შედიოდა ყველა მსაჯენებელი — როგორც უფროსების, ისე მოსწონებლისაც.

უაღრესად დაძაბული იყო ბრძოლა პირველი ადგილისათვის ქაბუკთა შორის. ბოლო იარაღისათვის დაწინაურდა ნ. მაკალათია (საქართველო). იგი 0,6 ქულით უსწრებდა თავის მთავარ მეტოქეს ვ. ლისიკის (რსფსრ). აი ჩვენი ტანმჯობეობები გამოვიდნენ ბოლო რაღზე — ტაიპზე. აქ ისინი თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ

„მონეკა ვეზირის“ სტენდზე დამთავრდა შეჯიბრება სსრ კავშირის სპორტულ კონსტიტუციის სახელობის თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქ. თბილისის, ქუთაისისა და მხარაძის მონადირეთა კავშირების გუნდები.
ადგილიდან სროლაში შეჯიბრებისას ძლიერი ქარი მსროლელებს

ჭულების დაკარგვაში. ეს ეხება მაკალათიასაც, რომელმაც ძლივს მიიღო 8,2 ქულა. ლისიკის ამ მონეტირების შესასრულებელი ჰქონდა თავისუფალი ვარჯიში. მან ზუსტად შეასრულა იგი და მიიღო 9,5 ქულა. საბოლოოდ ლისიკიმ 109,7 ქულით დაიკავა პირველი ადგილი, მაკალათიამ 109,1 ქულით — მეორე.

კიდევ უფრო სახედიწერო გამოდგა ტაიპზე ვარჯიში კარბელაშვილისათვის (საქართველო). იგი მთელი შეჯიბრების მანძილზე ლიდერობდა პირველობისაგან ქაბუკთა ჯგუფს, მაგრამ ტაიპზე 5,0 (I) ქულა მიიღო და პირველ ათეულშიც კი ვერ მოხვდა.

გოგონებს შორის საუკეთესო იყო უკრაინის გუნდის წევრი რ. გალიცკაია — 74,6 ქულა.

ვაჟთა შორის სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდნენ უკრაინელი ოსტატები ბ. შახლინი და ი. ტიტოვი. მოხდა ისე, რომ ბოლო სახეობისათვის (ბეგინითი ხტომა) ორივეს ჰქონდა ქულათა თანაბარი რაოდენობა. შახლინის ნახტომი მსაჯებმა 9,9 ქულით შეაფასეს. ხტომისათვის მოეწადა ტიტოვი. მან უნაკლოდ შეასრულა ნახტომი, მაგრამ ლიბზე დაშვებისას ვერ შეინარჩუნა წონასწორობა და 9,8 ქულა მიიღო. მეორე ცდაზე ტიტოვმა გამოასწორა შეცდომა და შეფასებამაც 0,1 ქულით აიწია. საბოლოოდ ბ. შახლინმა და ი. ტიტოვმა

ტოვმა გაიყვეს პირველი ადგილი 115,1 ქულით. მესამე ადგილზე გამოვიდა ვ. ლიპატოვი (მოსკოვი). საქართველოს გუნდის წევრებიდან ვაჟთა შორის საუკეთესო იყო რ. კაჭახიძე, რომელიც 110,85 ქულით საერთო მე-9 ადგილზეა. განსაკუთრებული მოწონება ჰპოვა მის მიერ შესრულებულმა ვარჯიშმა ღერძზე (სავალდებულო — 9,7, ნებისმიერი — 9,6 ქულა).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვის ტანმჯობეობები. შემდგომ ადგილებზე არიან რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის კოლექტივები. მეოთხე ადგილისათვის იბრძოდნენ ლენინგრადისა და საქართველოს გუნდები (ბოლო იარაღისათვის ჩვენი გუნდი მოწინააღმდეგეს უსწრებდა 1 ქულით). ლენინგრადელებს დარჩენილი ჰქონდათ ღერძი, ხოლო საქართველოს ტანმჯობეობები — ორძელი.

ჩვენმა ტანმჯობეობებმა შესანიშნავად შეასრულეს ვარჯიშები ორძელზე, კიდევ 2 ქულით გაასწრეს ლენინგრადელებს და საერთო IV ადგილზე გამოვიდნენ.

ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ მისი შენარჩუნებისათვის საჭიროა მეტი მუშაობა ჩამორჩენილ იარაღებზე, მეტი გამბედაობა და დამაჯერებლობა შეჯიბრებაში გამოცდის დროს.

თ. სანაბლიძე,
სპორტის ოსტატი.

კვლავ გადასროლის შემდეგ გუნდი დაიწყო ს. საგანდოძისა და მხარაძის შორის, გაიმარჯვა მხარაძის შორის. მრგვალ სტენდზე სროლაში გუნდური ადგილები განაწილდა ზუსტად ისევე, როგორც ადგილიდან სროლაში.

შესანიშნავი შედეგი აჩვენა სსრ კავშირის ჩემპიონმა დ. ცაგარეიშვილმა, რომელმაც დააზიანა 94 სიმიზენი 100 შესაძლებელიდან და დაიკავა პირველი ადგილი. მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა მხარაძის სპორტის ოსტატი ლ. სიმონიანი.

საერთო გუნდური პირველობა და კონსტიტუციის სახელობის თასი მოიპოვა თბილისის გუნდმა.

ჯ. მოწონელიძე

ახალი ჩემპიონები

ჩალკის სახელობის ცენტრალური აეროკლუბში ამას წინათ პარიზიდან მიიღეს ცნობა: ავიაციის საერთაშორისო ფედერაცია (ფაი) იტყობინებოდა, რომ მსოფლიო რეკორდებზე დამტკიცებულია საბჭოთა პარაშუტისტების მიერ ნაჩვენები რამდენიმე მაღალი შედეგი. მათ შორის არის მოსკოვის ლოსაფის წევრის ფლორა სალდაძის შედეგიც. ამ სპორტსმენმა დღით 600 მეტრის სიმაღლიდან ხტომაში ორი ცდის ჯამში აჩვენა დახტომის საშუალო შედეგი ცენტრალური წრიდან — 1,45 მეტრი (ძველი მსოფლიო რეკორდი — 3,40 მეტრით). მაჩვენებელი ა. სულთანოვას).

46 სანტიმეტრით გაუმჯობესეს ძველი მსოფლიო რეკორდი ჩეხოსლოვაკი პარაშუტისტმა ი. ვარალკოვმა, ნ. შჩუკინმა და ბ. ლაბინმა. ისინი ჯგუფურ ხტომაში 1.500 მეტრის სიმაღლიდან დაეშვენ ცენტრიდან 3,63 მეტრის დაშორებით.

ფაი-მ ახალ მსოფლიო რეკორდზე დაამტკიცა აგრეთვე ცენტრალური აეროკლუბის სპორტსმენების ნ. პრიახინსკი, ა. სკოპინოვი და ე. დიგოლევი. შედეგი ლამით ჯგუფურ ხტომაში 1.000 მეტრის სიმაღლიდან. მიწაზე დაშვების მათ მიერ ნაჩვენები შედეგი 8 მეტრი და 25 სმ აღემატება ძველ რეკორდს.

პირველი ადგილზე

დამთავრდა სპ. ვაჭრობისა და სამომხმარებლო კომპერაციის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის პირველობა კალათბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, სამტრედიის, აჭარის, მხარაძის, ზესტაფონის, ზუგდიდისა და რუსთავის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ სამტრედიისა და ქუთაისის კალათბურთელები.

შეხვედრა ანგარიშით 61:51 მოგეს სამტრედიელებმა, რომლებმაც მოიპოვეს პირველი ადგილი.

ლ. თუფიშვილი



საიუბილეო თასი — არმიელაშ

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 5 დეკემბერი.

სკო (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — 3:0 (2:0).

სკო: ჭანტურია; გრიშინი, გაიხარაშვილი, ჭანტურიაშვილი; მირონიშვილი, გვირაძე; მიქაძე, ნორაკიძე, გორუშენი, კურტანიძე, ივანოვი.

„ლოკომოტივი“: ურუშაძე; პეტრიაშვილი, ანთიძე, ცხოვრებოვი; კახიანიშვილი, დავარაშვილი; კახიანი, ხაჩარაძე, ზუხუბია, გომელაური, ზარდანი.

მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).

ლებს მნიშვნელოვნად უაღრესად და „ზურგის ოპერაციების“ წარმატებით ჩატარებას.

ანგარიში გახსნა მე-8 წუთზე. რკინიგზელთა ძირითადი ძალები მოპირდაპირე მხარეს იმყოფებოდნენ, როცა ივანოვმა შაილო შორი გადაცემა, სწრაფად გავიდა ფრთაზე და ცენტრში გადასცა გორუშენს. ეს უკანასკნელი სრულიად მარტო იმყოფებოდა კარს წინ. მისი დარტყმის მოგერიება

შეძლო ურუშაძემ და ხიფათი თითქმის აცილებული იყო, მაგრამ ბურთი მოხვდა ცხოვრებოვს და გავიდა კარში — 1:0.

სამი წუთის შემდეგ გამოვრდა ანალოგიური სურათი, ამჯერად მარჯვენა მხრიდან. მიქაძემ ფლანგიდან მიაწოდა გორუშენს, მცველებმა ვერ მოასწრეს მისი დახტვა და ანგარიში გახდა 2:0.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივის“ თავდასხმის ცენტრში თამაშობდა დათუნაშვილი. ამის შედეგად ქუთაისელთა შეტევას მეტი გეგმა და ორგანიზებულობა მიეცა, მაგრამ არმიელაშები კვლავ დიდი ყურადღებით მოქმედებდნენ დაცვაში და ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ საპასუხო იერიშისათვის. 31-ე წუთზე ივანოვმა მარცხენა ფრთიდან დაიწყო კომბინაცია და ბურთმა იმოგზაურა მარჯვენა ფლანგზე, სადაც მიქაძე წამით დარჩა ლიად. მან შეუჩერებლად დაარტყა მარჯვენა დაბალ კუთხეში — 3:0.

არმიელაშებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს ტურნირი და სრულიად დასახურებულად მოიპოვეს საპატიო ჯილდო — სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი თასი.

რ. ჭორიძე

სამართლიანი უკმაყოფილება

ჩვენ გვწერენ

ძირითადად ისეთ სახეობებთან, როგორცაა ჰადრაკი, ფარიკაობა და ტანვარჯიში. უკანასკნელ წელს

ბში რატომღაც მუშაობა შეწყვეტეს სექციებმა, რაც მოსწავლეების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, გვინტერესებს, როდემდე გაგრძელდება ასე?

ბ. გუთიაშვილი

თბილისში არსებობს თვითმოქმედების კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, სადაც ასობით ახალგაზრდა ეუფლება ისეთ სპეციალობას, რომელსაც მედიკოსი კავშირი აქვს სპორტთან და

ლანჩუთის რაიონის ქვემო აკეთის კოლმეურნეობის კომკავშირულმა რგოლმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. გოგელია, წელს მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 87.458 კგ. ხარისხიანი ჩაის ფოთოლი და დაამზადა 420 ტონა სილიონი, კომკავშირულ ყულაბაში ნაცვლად 52.600 მანეთისა, შეტანილია 88.000 მანეთი, ჩაბარებულია 261 კგ აბრეშუმის პარკი.

საკოლმეურნეო შრომის ყველა უბანს ატყვია ახალგაზრდობის საჭიანი ზელი, მაგრამ ისინი მარტო ახით არ კმაყოფილდებიან. საკოლმეურნეო შრომისაგან თავისუფალ დროს მონდომებით მეცადინეობენ სპორტულ სექციებში; ამაში ტონის მიმცემი აღმოჩნდა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ლლონტი.

გაგეობის გზაგადაკეობით

ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა მოითხოვდა აქტივის შემოკრებას, საკითხის საქმიან განხილვას. კომკავშირულ-ფიზკულტურულ აქტივზე გადაწყდა დაეწყეთ არსებული ჭალების შეკეთება და ახლის მოწყობა. აქტივმა სწორედ ამ მიმართებით წარმოართა პირველი რიგის სამუშაოები — ახალგაზრდობის ძალებით მოეწყო ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, შეძინო იქნა სპორტული ინვენტარი. გათვალისწინებული აქვთ აგრეთვე ტრიბუნების აგება მაყურებელთათვის, შხაპის გაყვანა, კალათბურთის მოედნისა და სასროლო ტირის მშენებლობა.

ახლა ქვემოაკეთელი სპორტმე-ნები სარაიონო შეჯიბრებათა თა-თქმის ყველა სახეობაში ღებულო-ბენ მონაწილეობას და ხშირად საპრიზო ადგილებსაც იკავებენ. კარგ შედეგებს მიაღწია მიმდინარე წელს სარაიონო პირველობის გათამაშე-ბაში ფეხბურთელთა გუნდმა, რომელსაც წვრთნიდა რაიონის კოლმეურნის ნაკრების წევრი დ. მენა-ღარიშვილი.

სოფლის სპორტსმენებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთავარდებუ-ლად შეხვდნენ რაიონულ სპარტა-კიადას, მოიპოვონ ზონალურ სპარტაკიადში მონაწილეობის უფ-ლება. ამ მიზნით აქაური ფიზკულტურელები რეგულარულად მეცადინეობენ სექციებში, ხშირად ატა-რებენ სამატრო შეხვედრებს მეზო-ბელ სოფლებთან.

ი. ებრაღიძე

მოსკოვი. მინსკის გზატკეცილის 23-ე კი-ლომეტრზე გაიმართა სა-ავტომობილო რბოლა „ტრუდის“ პირად-გუნ-დურ პირველობაზე. 3.000 კუბ. სმ მოცუ-ლობის კლასის ავტო-მობილებით პირად პირ-ველობაზე გამარჯვებუ-ლი გამოვიდნენ მე-6 ტაქსომობილური პარ-კის მძღოლები ი. ანდრე-ევი და ე. ზლიდნევი. 200 კმ მათ გაიარეს 1 საათში, 23 წუთსა და 11,9 წამში.

სურათზე: ი. ანდ-რევი (მარჯვნივ) და ე. ზლიდნევი. ფოტო ნ. კულეშოვისა.



ონორე პრატეზი, რეი გრასი, ინოსენტი, ბილი, ბოლდო... რამდენიმე წლის წინათ ეს სახელები ამშვენებდნენ აფიშებს და გაზეთ-ბის ფურცლებს. ახლა კი მათს გვა-რებს სასაფლაოს ღარაჯი კითხუ-ლობს განსვენებულთა საფლავე-ბის დავის დროს. ამ ადამიანების სიცოცხლეს ბლომ მოუღო პრო-ფესიონალურმა რინგმა საფრან-გეთში.

მალე ერთი წელი გავა, რაც გრძელდება ტეო ნოლეს პროცე-სი, რომელმაც მხედველობა და-კარგა ბროტოქმედე-მენაჯერების წყალობით. ისინი ნახევრად უსი-ნათლო აღამიან აიძულებდნენ ჩი-ეცვა მოკრივის ზელათამანები.


„ტი ნოლემ დატოვა რინგი, მაგრამ მისი ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. — ასე წერდა ფრანგული გაზეთი „ლიბერასიონ-ი“. — მან დაიწყო თავისი სიცო-ცხლისათვის ბრძოლის უკანასკ-ნელი რაუნდი“. და სწორედ ეს უკანასკნელი რაუნდი გამოდგა ყველაზე მძიმე.

„მე ვერაფერს გხედავ“

ომისშემდგომი პერიოდი არც ისე-თი სტუმართმოყვარე აღმოჩნდა, როგორც ეს წარმოედგინა 19 წლის ოსან ხალფის. იგი ამ დიდ და უჩვე-ულად გამაყრუებელ ქალაქში კრი-ვის სიყვარულმა მოიყვანა. ხალ-ფის აღელვებდა დამაბულ ბრძო-ლათა ატმოსფერო, და მაყურებელ-თა გამაყრუებელი ყიჟინა. რო-გორი ბედნიერი იყო იგი, როცა ერთხელ საგარეოში დარბაზში ერთ-ერთმა მოკრივემ მას ნება დართო ჩაეცვა მისი ხელთათმანე-ბი...

რამდენიმე წლის შემდეგ ეს ხე-ლები უძლიერეს დარტყმებს აყე-ნებდამათ, ვინც კი ოსან ხალფის წინააღმდეგ გამოდიოდა რინგზე. ხალფის სახელი ცნობილი გახდა ალკიონის სპორტულ სამყაროში. „პარიზი, აი ადგილი, სადაც შეგო-ღია აზვენო შენი ძალა, — ეუბნე-ბოდნენ მას მეგობრები, ნაცნობე-ბი, მწვრთნელი. მხოლოდ იქ შეძ-ლებს იშვინო ფული, დაეხმარო მშობლებს, გახდე საფრანგეთის ჩემპიონი“.

და აი, იგი პარიზშია. ძალზე გა-გრძელდა ერთფეროვანი ულუკმა-ბური დღეები. მამიტი ახალგაზ-რად ცდილობდა გასულიყო რინ-გზე. მაგრამ მას ყველაზე ცივი, ზოზლით საესე სიტყვები ეხმოდა: „თქვენ ამბობთ, რომ ალკიონის ჩემ-პიონი იყავით? მერე რა. ეს არც ისე ძნელია“. როგორც იქნა, მან



შეძლო ხელშეკრულება დაედო ერთ-ერთ მენაჯერთან, რომლებიც ყოველდღიურად ტრიალებენ „დი-დი რინგის“ ირგვლივ. ოსან ხალ-ფიმ მაშინვე მიიქცია ყურადღება. გაზეთები ბევრს წერდნენ მისი „ნათელი და გააზრებული ბრძო-ლის მანერაზე“.

ერთხელ გასახდელში ოსანმა იგრძნო, რომ ვიღაცის ხელი შეეხო მის მხრებს.

— შენ მომწონხარ ქაბუკო, — ეუბნა უცნობმა, — მე შენგან ვამოხერხებ მოკრივეს გამოიყვან. მოდი ჩემთან ხელს ყველა გეტყ-ვის, თუ სად ნახო ქან ბრეტონე-ლი — მეტი მას არაფერი უთქ-ვამს. მეორე დღეს ოსანი გაეშურა ქ. ბრეტონელსაკენ.

გავიდა თვეები და ამერიკის ქა-ლაქების ციცილოვანი რეკლამები ყველას აღუწებდა „სახელგანთქმუ-ლი ბრეტონელის მიერ შტატებში ახალი ფენომენის“ ჩამოყვანის ამბავს.

რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯ-ვება ამერიკის რინგებზე. ხალფი-ზე უკვე ლაპარაკობენ, რომ იგი მალე მსოფლიო ჩემპიონის გვირგ-ვის წაართმევს ქვემსუბუქ წონა-ში სენდი სელერს. მაგრამ ყვე-ლაფერი სხვაგვარად წარიმართა. ერთ-ერთ მატჩში ხალფი უძლი-ერესი დარტყმა მიიღო თვალის არეში. მენაჯერებსა და პროფესი-ონალ-მოკრივეთა შორის დადებუ-ლი ხელშეკრულება არ ითვალის-წინებს მსგავს „შემთხვევითობას“ და ოსანი აგრძელებდა ბრძო-ლებს.

ოსანი დაბრუნდა საფრანგეთში. თვალის სამკურნალო ფული მას არ გააჩნდა. ამიტომ საჭირო იყო კვლავ რინგზე გამოსვლა. მაგრამ ფერისთან. კოლისთან, ლოსთან ბრძოლებმა მას მხოლოდ დამარც-ხებები მოუტანა. ხალფი კვლავ გაემგზავრა ამერიკაში, სადაც მისი ცოლ-შვილი იმყოფებოდა, კვლავ ჩაიცვა ხელთათმანები და კვლავ დამარცხდა ჯო ლოხსთან.

გაოგნებული ხალფი ავსტრა-ლიას გაემგზავრა. მასი უკანასკნე-ლი ბრძოლა შედგა მეღბურწმში. ავსტრალიელმა მ. კარპიმ კარგად იცოდა მეტოქის სუსტი ადგილი და ყოველნაირად ცდილობდა მო-ერტყა თვალის არეში, მხოლოდ თვალის არეში, ხალფის დაზიანე-ბულ წარბიდან სისხლ-სდიოდა. თვალებს ბინდი გადაეკრა. მერვე რაუნდში ხალფი სიმწირისაგან იყ-

ვირა: „შეჩერდი, ვერაფერს ვხე-დავ“...

ავსტრალიის უდიდესი ქალაქის სიდნეის ერთ-ერთი კვარტალის მცხოვრებნი კარგად იცნობენ შე-თხიან ადამიანს, რომლის მარჯვე-ნა თვალს საშინელ წყლულს დაუ-ფარავს. იგი ჯერ კიდევ ახალგა-ზრდაა და რომელიღაც ფარდულ-ში მუშაობს, რომ გროშები იშოვ-ნოს.

„მან ძალზე ბევრი დარტყმა მიიღო“

„პიერ პასი, ეს ისაა, რომელმაც ძალზე ბევრი დარტყმა მიიღო“, ეს ისაა, რომელსაც მენაჯერები ხელიდან სტაცებდნენ ერთმა-ნეთს...

იგი პარიზში ჩავიდა ალკიონის პატარა ქალაქ ფილიპელიდან. პიერი 18 წლის იყო. გულბრყვი-ლო, მეოცნებე ქაბუკი ცდილობ-და როგორმე მოხვედრილიყო რინ-გზე და ჩემპიონი გამხდარიყო.

მალე პიერ პასი პარიზის ცენ-ტრალურ რინგზე გამოვიდა. მიუ-ხედავად მეტოქის საპასუხო დარ-ტყმებისა, ავი გულდაგულ მივიყე-და წინ. ბოლოსდაბოლოს პიერის მოწინააღმდეგე ვერ გ. კლო შეუ-პოვარ იერიშებს და დანებდა.

ნათელი იყო, რომ პიერი ჯერ კიდევ მზად არ იყო მძიმე პრო-ფესიონალური მატჩებისათვის, რომ მისი სუსტი ადგილი დაცვა. „არაფერია, — ამბობდა მენაჯე-რი ოკენარენი. — პასი ძალზე ბევრ დარტყმებს იღებს, მაგრამ მას ხომ რკინის ჯანმრთელობა აქვს“. და პიერი განაგრძობდა ჩხუბს.

მის ფეხებთან ეცემოდნენ მეტო-ქენი. არაფერს შეეძლო ამ „კაცი-ჩა-ქუნის“ დამორჩილება.

მაგრამ ერთხელ პიერმა იგრძნო, რომ მის წინ დგას მასივით მაგა-რი და ძლიერი მუშტის მქონე მოკრივე, მაგრამ მისგან განსხვავე-ბით ოსტატურად იცავდა თავს. პი-

ერმა იგრძნო, რომ მისი ძლიერი დარტყმები მძლავრ დაცვას ეჯა-ხება და ვერ აღწევს მიზანს. ეს ხდებოდა პარიზში, ვაგრამის დარ-ბაზში, 1956 წლის 31 მაისს. პიერ პასი დანებდა ლუი პონსის — სახელგანთქმულ პატარა ლუის.

მას შემდეგ მოკრივეთა მატჩე-ბის აფიშებიდან გაქრა პიერ პასის სახელი. მან გააყვია თავისი საქმე და აღარა სჭირდებოდა ბატონ ოკენარენს. რადგან 24 წლის პიერ პასი ამჟამად სრულიად დავარდ-ნილი ადამიანი იყო.

„ჩვენთვის არ არის არაფერი“

სამუშაო“

ერთ იონესულ უკვე ცხრა საა-თია დგას დაზავსთან. მან კარგად იცის, რომ კიდევ ცოტა და იგი ვეღარ გაუძლებს. მის წინ დაზვის საშინელი ძალით მბრუნავი ბორ-ბალია, გრძნობს რომ ეცემა, ვერ ფლობს თავის დაქცეულ, მიძინე-ბულ ნებისყოფას...

ყურთასმენის წამლები ავარიუ-ლი სირენის ზუზუნია. შეაჩერეს დაზვები. ყველანი გაიქცნენ იქი, საიდანაც მოისმოდა ადამიანის ეცენა, მაგრამ ოსტატმა ბრძანა მუშაობის გაგრძელება. რა არის აქ განსაკუთრებული? ქაბუკი დაი-თრია ბორბალზე გაბმულმა ღვედ-მა. მორჩა და გათავდა.

ერთი გონზე მოვიდა საავად-მყოფოში. მხრებამდე დაბინძურე-ბი ხელის საშინელი ტკივილი. ქლო-როფორმის სუნე, ექიმები წარმო-თქვამდნენ საშინელ სიტყვებს.

ექიმები ყველაფერს აკეთებდნენ, რაც შესაძლებელია. საავადმო-ფოდან იონესულ ატროფირებუ-ლი, ოღონდ დამოკლებული ხელით გამოვიდა. შავი ღლისათვის გადა-ღებული ფული მეტრნალობამ შთანქვა.

(გაგრძელება იქნება)

მ. გუპაროვი.

მ. გრიგორიძე.

ქიდე პიტი ახალი „ქიდეპიტი“

როგორც ცნობილია, 3 ოლიმპი-ური ოქროს მედლის მფლობელ ავსტრიელი მოთხილამურე ტონი ზაილერი კარგა ხანია კინო-ფილ-მებში თამაშობს მთავარ როლებს. ამას წინათ კინოში გადაიღეს ავ-ერთვე განთქმული უნგრელი მოკ-რივე, სამგზის ოლიმპიური ჩემპი-ონი ლასლო პასი.

ეს „კინო-სენი“ გადამდები ალ-მონდა. აქამდე ერთ-ერთი ფი-ლმის მთავარ როლში იღებენ ცნობილ ბრაზილიელ მძღოლსანს, ოლიმპიურ ჩემპიონს სამხტოში ა. ფ. და სილვას.



როტერდამი. პოლანდიისა და ბელგიის ტანმოვარჯიშეთა ნა-კრები გუნდების სამატრო შეხვე-დრა მოიგეს პოლანდიელებმა ან-გარიშით 276,60:264,40.

ბუქარესტი. რუმინელმა მძღოლსანმა ქალმა ლია მანოლიუმ დაამყარა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი ბალროს ტყორცნაში — 48,54 მ.

მანილა. აქ შედგა საინტე-რესო მატჩი ჩოგბურთში ფილიპი-ნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის. ფილი-პინელებმა დამარცხეს აშშ-ს განთ-ქმული გუნდი ანგარიშით 4:1.

ლონდონი. ცნობილმა ინგ-ლისელმა სპორტსმენმა დონალდ კემპბელმა სცადა გაეუმჯობესებინა თავისივე მსოფლიო რეკორდი წყალზე რბოლაში (384,6 კმ საათ-ში). მაგრამ ცდა წარუმატებლად დამთავრდა. დ. კემპბელმა განულო მხოლოდ 355,7 კმ.

ბოლონია. აქ „პალაციო დე-ლო სპორტის“ დარბაზში დამთა-ვრდა მსოფლიო პირველობის გა-თამაშება ზაფხულის ციგურებში. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ვა-ჟთა შორის — კარლ ლოშმა, ქალ-თა შორის — მარიკა კილიუსმა, წყვილთა შორის — რ. ბლუმენ-ბერგმა და ე. მენშინგმა. ჩემპიო-ნები ყველანი გერმანიის ფედერა-ლური რესპუბლიკიდან არიან.

სტოკჰოლმი. შვედეთის ნაქ-რებმა დახურულ დარბაზში დაა-მარცხა დანიის ჩოგბურთელები საერთო ანგარიშით 3:2.

რედაქტორი ი. უგუშუაშვი.